ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება:**გ-49. 492621214**
თარიღი:**31/07/2026**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ ქვიტირში მდებარე მამუკა შარაშენიძის კერძო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 29.12.31. 715 ფართით-41743.0 კვ.მ.) ახალი კერძო სასაფლაოს გახსნის (მოწყობის) შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 24 ივლისის N48-482620517, 28 ივლისის N48-482620948 და 29 ივლისის N48-482621070 წერილები, რომელშიც აღნიშნულია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა მოქალაქე მამუკა შარაშენიძის 2026 წლის 22 ივლისის №19/4826203142-48 განცხადება, რომლითაც ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში მის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 29.12.31.715, ფართობი - 41743.0 კვ. მ) სასაფლაოს ტერიტორიის დაგეგმარების პროექტის შეთანხმებას.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ შეითანხმა აღნიშნული პროექტი და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 მარტის N11 დადგენილების მე-13 მუხლის პირველი და მესამე პუნქტების შესაბამისად, საკრებულოს წარუდგინა შეთანხმებული პროექტი გადაწყვეტილების მისაღებად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა–პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 მარტის N11 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე–13 მუხლის თანახმად:

1. მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ ქვიტირში მდებარე მამუკა შარაშენიძის კერძო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე **(საკ.კოდი 29.12. 31. 715 ფართით-41743.0კვ.მ.)** ახალი კერძო სასაფლაოს გახსნის (მოწყობის) შესახებ.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიებს.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი